გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №52

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 7 ნოემბერს (N 10/202331177-20) და 2023 წლის 22 ნოემბერს (N 10/202332668-20) შემოსულია სს „სილქნეტის“ (ს/ნ 204566978) წერილები, რომელშიც მოთხოვნილია, ქ. გორში, შინდისის გზატკეცილის მიმდებარედ (ს/კ 66.45.15.061 - ის მიმდებარედ) ს/კ 66.00.794 არსებული 2 ერთეული გარე განათების ბოძის და ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ (ს/კ 66.45.13.124 - ის მიმდებარედ) ს/კ 66.00.803 არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძის იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2024 წლის 1 მარტის N060-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, (ს/კ 66.45.15.061 მიმდებარედ) 66.00.794 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 2 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 55,00 (ორმოცდათხუთმეტი) ლარით;

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2024 წლის 1 მარტის N061-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, (66.45.13.124 მიმდებარედ) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 81,00 (ოთხმოცდაერთი) ლარით;

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ს/კ 66.00.794 ქონებიდან 2 (ორი) ერთეული გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, შინდისის გზატკეცილის მიმდებარედ) და ს/კ 66.00.803 ქონებიდან 3 (სამი) ერთეული გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს სს „სილქნეტს“ (ს/ნ 204566978), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.

2. საწყისი საპრივატიზებო ფასი:

ა) 66.00.794 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 2 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 55.00 (ორმოცდათხუთმეტი) ლარით;

ბ) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 81.00 (ოთხმოცდაერთი) ლარით;

3. წლიური საიჯარო ქირა 5 (ხუთი) ერთეულ გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული 5 ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**